ადრესატი:

ვახტანგ ნადარეიშვილი
ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-სამსახურის უფროსი

წერილის ნომერი:**01-482301743**
თარიღი: **17/01/2023**

პირველი რანგის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს-

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსს

ბატონ ვახტანგ ნადარეიშვილს

წარმოგიდგენთ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების უფროსის მიერ **2022 წლის IV კვარტალში** შესრულებული სამუშაოს ანგარიშს.

2022 წლის IV კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და შესყვიდვების სამსახურის, მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილების მიერ განხორციელდა მთელი რიგი სამუშაოებისა, რომლებმაც ხელი შეუწყო განყოფილების გამართულ ფუნქციონირებას.

განყოფილების უფროსის მიერ, მითითებულ პერიოდში განხილული იქნა, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსული 53 კორესპონდენცია, რომლებზედაც მომზადებულია მუნიციპალიტეტის მერის წერილის პროექტები.

„სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2022 წლის **IV**კვარტალში გაიმართა 3 შეხვედრა მერის წარმომადგენელთა და განყოფილების მოსამსახურეთა მიერ აღნიშნული საკითხის შესწავლისა და შემდგომში მითითებული საკითხის სამართლებრივად მოწესრიგებისა თუ ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების მიზნით.

,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის №591 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად მერის ბრძანებით შექმნილ საბჭოში, მდივნისა და საბჭოს წევრის სტატუსით, 2022 წლის **IV** კვარტალში მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი მიენიჭა **6** ფიზიკურ პირს. სტატუსი გარდაცვალების გამო შეუწყდა 3 პირს და 1 პირს მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი შეუწყდა მონიტორინგის დასკვნის საფუძველზე.

მაია ფანჩულიძე

ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახური-მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება-
განყოფილების უფროსი